ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N27

22.09.2023 წელი
11:30 საათი

ქალაქ თბილისი, თავისუფლების მოედანი N2
ოთახი 3-01

მიმდინარე წლის 22 სექტემბერს, 11:30 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: **გურამი ოქროპირიძე** (კომისიის თავმჯდომარე), **გივი ჩხარტიშვილი** (კომისიის წევრი), **ვლადიმერ ბოჟაძე** (კომისიის წევრი), **ირაკლი ეთგვერაძე** (კომისიის წევრი) და **ნინო კვიტაიშვილი** (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე **ლევან მიქავა**, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი **ირაკლი თავართქილაძე** და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 5 (ხუთი) წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის № 19-118 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი *(საფუძველი წერილი #12-032326258-03; 19.09.2023წ.),*
   მომხსენებელი - ლევან მიქავა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.
2. **„ქ. თბილისში, დიდ ლილოში, მშვიდობის ქ. N1-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N81.08.29.180; N81.08.35.238; N81.08.35.239) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი *(საფუძველი წერილი #№12-032325019-03, 07.09.2023წ. #№12-032326384-03, 20.09.2023წ.),*
   მომხსენებელი - ირაკლი თავართქილაძე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი.
3. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას (ს/ნ: 201990079) შორის 2018 წლის 19 აპრილს გაფორმებული „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების**

შესახებ“ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის (ს/ნ: 201990079) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი *(საფუძველი წერილი #№12-032326361-03, 20.09.2023წ.),* **მომხსენებელი - ირაკლი თავართქილაძე,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დადგენილების პროექტში შესატანი ცვლილებების შესახებ ინფორმაცია, კომისიას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ წარუდგინა.

ლევან მიქავა - მოგესალმებით, წარმოგიდგენთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში შესატან ცვლილებებს. მოგეხსენებათ, რომ გვაქვს ზრდა 9 459,1 ათასი ლარით და ბიუჯეტის მოცულობა შეადგენს 1 833 083,6 ათას ლარს. მატება მიღებულია საბანკო დაწესებულებებში განთავსებული ანგარიშებიდან, პროცენტის გადაჭარბებით მიღებული თანხებით და შიდა ეკონომიებით. ცვლილების შედეგად ბიუჯეტი შემდეგნაირად გადანაწილდა:

იზრდება გზების მშენებლობა და აღდგენა (კოდი 01 01 01) ქვეპროგრამის ასიგნებები – 5 000,0 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება დიდუბის რაიონში (კოდი 01 01 10) - 600,0 ათასი ლარით, საბურთალოს რაიონში (კოდი 01 01 13) - 485,5 ათასი ლარით, საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია (კოდი 02 01) პროგრამის ასიგნებები - 4 000,0 ათასი ლარით, გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია (კოდი 02 05) - 5 500,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 02 09 11) ქვეპროგრამის ასიგნებები - 453,5 ათასი ლარით, დიდუბის რაიონში (კოდი 02 09 12) - 600,0 ათასი ლარით, ჩუღურეთის რაიონში (კოდი 02 09 13) - 210,0 ათასი ლარით, სამგორის რაიონში (კოდი 02 09 17) - 300,0 ათასი ლარით, კრწანისის რაიონში (კოდი 02 09 18) - 1 050,0 ათასი ლარით, მთაწმინდის რაიონში (კოდი 02 09 19) - 1 000,0 ათასი ლარით, გამწვანების ღონისძიებები (კოდი 03 01) პროგრამის ასიგნებები - 1 000,0 ათასი ლარით, ბიზნესის სტიმულირება (კოდი 04 01) - 295,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა გლდანის რაიონში (კოდი 05 01 08) - 300,0 ათასი ლარით, ნაძალადევის რაიონში (კოდი 05 01 09) - 400,0 ათასი ლარით, დიდუბის რაიონში (კოდი 05 01 10) - 280,0 ათასი ლარით, ვაკის რაიონში (კოდი 05 01 12) - 250,0 ათასი ლარით, სამგორის რაიონში (კოდი 05 01 15) - 430,0 ათასი ლარით, კრწანისის რაიონში (კოდი 05 01 16) - 219,0 ათასი ლარით, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაცია ნაძალადევის რაიონში (კოდი 06 02 16 08) - 70,0 ათასი ლარით, დიდუბის რაიონში (კოდი 06 02 16 09) - 45,0 ათასი ლარით, საბურთალოს რაიონში (კოდი 06 02 16 12) - 60,0 ათასი ლარით, სამგორის რაიონში (კოდი 06 02 16 14) - 195,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 06 02 18 07) - 100,0 ათასი ლარით, ნაძალადევის რაიონში (კოდი 06 02 18 08) - 300,0 ათასი ლარით, დიდუბის რაიონში (კოდი 06 02 18 09) - 55,0 ათასი ლარით, ჩუღურეთის რაიონში (კოდი 06 02 18 10) - 100,0 ათასი ლარით, ვაკის რაიონში (კოდი 06 02 18 11) - 140,0 ათასი ლარით, საბურთალოს რაიონში (კოდი 06 02 18 12) - 100,0

ათასი ლარით, ისნის რაიონში (კოდი 06 02 18 13) - 100,0 ათასი ლარით, სამგორის რაიონში (კოდი 06 02 18 14) - 200,0 ათასი ლარით, კრწანისის რაიონში (კოდი 06 02 18 15) - 100,0 ათასი ლარით, მთაწმინდის რაიონში (კოდი 06 02 18 16) - 255,0 ათასი ლარით, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა (კოდი 07 01 02) - 6 000,0 ათასი ლარით, უწყვეტი განათლების და სტუდენტური პროექტების ხელშეწყობა (კოდი 07 05 01) - 100,0 ათასი ლარით, საკონცერტო ორკესტრი (კოდი 08 04 01) - 10,2 ათასი ლარით, სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობაიზრდება (კოდი 08 06 04) - 3 680,0 ათასი ლარით, თბილისის სპორტისა და ახალგაზრდული ცენტრების ხელშეწყობა (კოდი 08 08 02) - 240,0 ათასი ლარით, კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 08 11 01) - 15,0 ათასი ლარით, დიდუბის რაიონში (კოდი 08 11 03) - 50,0 ათასი ლარით, კრწანისის რაიონში (კოდი 08 11 09) - 17,0 ათასი ლარით.

მცირდება გზების მოვლა-შეკეთება ჩუღურეთის რაიონში (კოდი 01 01 11) ქვეპროგრამის ასიგნებები - 150,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 02 09 10) - 15,0 ათასი ლარით, საბურთალოს რაიონში (კოდი 02 09 15) - 545,5 ათასი ლარით, ქალაქის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 02 10) პროგრამის ასიგნებები - 3 300,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა მთაწმინდის რაიონში (კოდი 05 01 17) ქვეპროგრამის ასიგნებები - 355,0 ათასი ლარით, სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა (კოდი 08 02) პროგრამის ასიგნებები - 10,2 ათასი ლარით, ცხოველთა მონიტორინგი (კოდი 09 02) - 3 551,0 ათასი ლარით, თბილისის მუნიციპალური მომსახურების პროექტი (კოდი 10 24) - 690,0 ათასი ლარით, კრწანისის რაიონის გამგეობა (კოდი 10 35) - 17,0 ათასი ლარით, თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 42) - 1 660,3 ათასი ლარით, თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 46) - 1 920,6 ათასი ლარით, თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება II ფაზა (კოდი 10 47) - 6 631,5 ათასი ლარით, თბილისის მეტროს პროექტის სესხის მომსახურება (10 48) - 6 000,0 ათასი.

სხდომა კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

აზრი გამოთქვეს:

გურამი ოქროპირიძე - როგორც ვიცით ბიუჯეტის ცვლილებით გარკვეული თანხა მოხმარდება ვერის და ვაკის პარკში მდებარე საჩოგბურთო კორტების რეაბილიტაციას.

ლევან მიქავა - დიახ, აღნიშნულის ფარგლებში თბილისის სპორტისა და ახალგაზრდული ცენტრების ხელშეწყობა **240,0** ათასი ლარით გაიზრდება, რაც მოხმარდება ა(ა)იპ თბილისის სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის სტრუქტურული ერთეულში შემავალ, ვერის და ვაკის პარკში მდებარე კორტების რეაბილიტაციას. ასევე იზრდება პროგრამა სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა **3 680,0** ათასი ლარით. აღნიშნული თანხა მოხმარდება ვარკეთილის მულტიფუნქციური საზოგადოებრივი სპორტული ცენტრის მიმდინარე სამშენებლო და ა(ა)იპ ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრის, სტრუქტურული ერთეულის კულა გლდანელის სახელობის საჭიდაო დარბაზის სარემონტო სამუშაოებს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის № 19-118 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" საკითხი,

მომხრე - გურამი ოქროპირიძე, გივი ჩხარტიშვილი, ვლადიმერ ბოჟაძე - (3),

წინააღმდეგი - (0),

თავი შეიკავა - ნინო კვიტაიშვილი, ირაკლი ეძგვერაძე (2).

ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის № 19-118 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი ქალაქ თბილისში, დიდ ლილოში, მშვიდობის ქ. N1-ში მდებარე უძრავი ქონების საქართველოს რაგბის კავშირისთვის გადაცემის შესახებ ინფორმაცია, კომისიას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა წარუდგინა.

ირაკლი თავართქილაძე - მოგესალმებით, გვაქვს სასიხარულო ამბავი, რაგბის კავშირს გადაეცა კიდევ ერთი, 40 000 კვ.მ მიწის ნაკვეთი, დიდ ლილოში (ვარკეთილის მეურნეობა) მშვიდობის ქუჩა N1-ში. საქართველოს რაგბის კავშირი იღებს ვალდებულებას, არაუგვიანეს 2025 წლის 31 დეკემბრამდე, აღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე მოაწყოს 2000 მაყურებელზე გათვლილი რაგბის მოედანი და სარაგბო ინფრასტრუქტურა, ხოლო ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში მათ დაეკისრებათ პირგასამტეხლო ან მოხდება ხელშეკრულების შეწყვეტა.

აზრი გამოთქვეს:

გივი ჩხარტიშვილი - მინდა მადლობა გადავუხადო მომხსენებელს და ავღნიშნო ის მნიშვნელოვანი პროექტი, რომელიც ემსახურება რაგბის განვითარებას. მორაგბეები არიან ის ადამიანები, რომლებიც ქმნიან ჩვენს მომავალს იქ არის გათვალისწინებული ქართული სულისკვეთება.

ირაკლი ეძგვერაძე - მივესალმები მიწის ნაკვეთის გადაცემას რაგბის კავშირისთვის, ძალიან მნიშვნელოვანია და მხარს ვუჭერ მსგავს პროექტს.

ნინო კვიტაიშვილი - პირობების ვადებში ვერ შესრულების გამო ისევ პირგასამტეხლოს დააკისრებთ და შემდეგ ჩამოაწერთ, როგორც ფეხბურთის ფედერაციას?

ირაკლი თავართქილაძე - ფეხბურთის ფედერაციას არ ჰქონდა შესაბამისი გამოცდილება სამშენებლო საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც ჩვენი თანამშრომლობის შედეგად უკვე მიიღო, რაც შეეხება რაგბის კავშირს, აღნიშნულთან დაკავშირებით განსხვავებული მდგომარეობაა და მსგავსი გამოცდილებას აქვთ, ასე რომ ვფიქრობთ ვადებში ჩაეტევიან, მაგრამ დამზღვევი მექანიზმები ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია, მათ შორის პირგასამტეხლოც.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

„ქ. თბილისში, დიდ ლილოში, მშვიდობის ქ. N1-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N81.08.29.180; N81.08.35.238; N81.08.35.239) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი,

მომხრე - გურამი ოქროპირიძე, გივი ჩხარტიშვილი, ვლადიმერ ბოჟაძე, ნინო კვიტაიშვილი, ირაკლი ეძგვერაძე - (5),

წინააღმდეგი - (0),

თავი შეიკავა -(0).

ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა:

„ქ. თბილისში, დიდ ლილოში, მშვიდობის ქ. N1-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N81.08.29.180; N81.08.35.238; N81.08.35.239) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს

დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტეის სსიპ ქონების მართვის სააგენტოსა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას შორის გაფორმებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლების შესახებ ინფორმაცია, კომისიას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა წარუდგინა.

ირაკლი თავართქილაძე - მოგეხსენებათ, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას გადაეცა ვარკეთილში 18 000 კვ.მ მიწის ნაკვეთი. მათ ჰქონდათ ფეხბურთის მოედნის და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობის ვალდებულება, მაგრამ საპროექტო დოკუმენტაცია დაგვიანდა, დაირღვა ხელშეკრულების პირობა. 2020 წლის 20 აპრილს უნდა დასრულებულიყო, თუმცა 2022 წლის 19 სექტემბერს დასრულდა. საჭირო გახდა შეთანხმებული პროექტის კორექტირება და არქიტექტურის სამსახურთან ხელახლა შეთანხმება, რამაც შეაფერხა ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების საკითხი და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. ფეხბურთის ფედერაციამ ითხოვა ხელშეკრულების სრულად შესრულების დადასტურება და დაკისრებული პირგასამტეხლოსაგან ჯამში - 88 200 (ოთხმოცდარვა ათას ორასი) ლარით გათავისუფლება.

აზრი გამოთქვეს:

გურამი ოქროპირიძე - აღნიშნული პირგასამტეხლოს პატიებას აქვს მისი წინაპირობა და კონკრეტული დაბრკოლებების გამო მოხდა არქიტექტურულ ნაწილში პროექტის ჩაბარების გახანგრძლივება, ასევე იყო პანდემია და სხვა ხელისშემშლელი პირობები, მიუხედავად ამისა 2020 წლიდან არსებული ინფრასტრუქტურა სრული დატვირთვით ფუნქციონირებს და ასობით ახალგაზრდას ემსახურება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას (ს/ნ: 201990079) შორის 2018 წლის 19 აპრილს გაფორმებული „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის (ს/ნ: 201990079) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი,

მომხრე - გურამი ოქროპირიძე, გივი ჩხარტიშვილი, ვლადიმერ ბოჟაძე, - (3),

წინააღმდეგი - ნინო კვიტაიშვილი, ირაკლი ეძგვერაძე - (2),

თავი შეიკავა -(0).

ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას (ს/ნ: 201990079) შორის 2018 წლის 19 აპრილს გაფორმებული „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის (ს/ნ: 201990079) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გურამი ოქროპირიძე